

ანტიკური ლიტერატურა

მითი და ინტერპრეტაცია: ჰესიოდე

ნინო ჩიხლაძე

nino.chikhladze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.07>

ჰესიოდესთან ინფორმაცია პრომეთეზე ორგანიზებულია ავტორის გარკვეული მსოფლმხედველობრივი პრინციპების შესაბამისად. ჰესიოდეს ამოსავალი დებულებაა: ზევსი უზენასი ღმერთია, სიმართლის მცველი და ამის გამო, მასთან დაპირისპირება ცოდვაა, რომელიც სამართლიან სასჯელსაც იმსახურებს. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ პრომეთეს მითი ამ ავტორთან წარმოჩენილია, როგორც მისი კონცეფციის საილუსტრაციო მაგალითი. როგორ ახერხებს ამას ჰესიოდე? იდეის რეალიზაციისთვის შეიძლება ყოფილიყო ორი გზა: 1. თავად მითის გადაკეთება; 2. მითის ობიექტურად დატოვება, ხოლო საკვანძო პასაჟების თავისებური ინტერპრეტაცია. ამ გზების კვლევა არის სწორედ სტატიის მიზანი.

საკვანძო სიტყვები: მითი, ინტერპრეტაცია, ეპოსი, ჰესიოდე, პრომეთე.

მითიური ნიმუშების იდენტიფიკაცია, ღვთაებრივი ყოფის, ფუძემდებლური რიტუალური სტრუქტურების აღმოჩენა კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში და უნივერსალურ არქეტიპებთან შდარება თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკული ერთ-ერთი მთავარი ინტერესის საგანია.

მიზეზები და პრობლემები, რომლებიც თან ახლავს ასეთ კრიტიკულ პროცესებს, ვფიქრობთ, საუკეთესოდ გამოჩნდება მთელი რიგი შემთხვევების მეშვეობით, რომლებშიც მითი გამოიყენება, როგორც ინტერპრეტაციის და სათქმელის ამგვარად მოწოდების საშუალება. დავიწყებ უმარტივესი ტიპით - როდესაც ხდება კორელაცია ნაწარმოების სიუჟეტის ან პერსონაჟის ასპექტსა და მისი მითიურ პროტოტიპს შორის. ამის ნათელყოფას შევეცდები პრომეთეს მითის ინტერპრეტაციის მაგალითზე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეთა მიჯნის ბერძენი ეპიკოსის, ჰესიოდეს შემოქმედებაში.

პრომეთეს მითი ძალიან ძველია, ამ მითში ტიტანის სახე კი - საკმაოდ რთული და მრავალწახნაგოვანი. მისი პირველად მოხსენიება მხატვრულ მწერლობაში სწორედ ჰესიოდეს პოემებში „თეოგონია“ და „სამუშაონი და დღენი“ გვხვდება.

პრომეთეს მითი საკმაოდ ადვილად ხვდება ჰესიოდეს ინტერესთა არეალში, უპირველესად, იმიტომ, რომ ღმერთთა გენეალოგიის შემქმნელი და მათი ერთ სისტემაში მომქცევი პოეტი გვერდს ვერ აუვლიდა ისეთ უძველეს ღვთაებას, როგორც პრომეთე იყო. გარდა ამისა, პრომეთეს მითი აძლევდა პოეტს კარგი ინტერპრეტაციის, საკუთარი მსოფლალქმის გამოხატვისა და ფილოსოფიური ჩაღრმავების საშუალებას, თანაც, ზევსის იდეოლოგ ჰესიოდეს კარგ სამსახურს გაუწევდა მითი ზევსის ურჩ პრომეთეზე, რომელიც სასტიკად დაისაჯა სწორედ ამ ურჩობისთვის - მითი იქნებოდა ზევსის ძლევამოსილებისა და უზენაესობის კარგი დასტური (Fritz 2019, 367-410).

პრომეთეს სახისადმი ჰესიოდეს დამოკიდებულება დიდადაა განსაზღვრული ზევსისადმი თავად ავტორის დამოკიდებულებით, ამიტომ, საჭიროა, დასაწყისშივე გავარკვიოთ ზევსის ადგილი ჰესიოდეს კონცეფციაში.

ჭექა-ქუხილის ღმერთი ჰესიოდესთან ყოლისშემძლე ერთმმართველი ღვთაებაა, რომელიც განაგებს სამყაროს და იცავს სიმართლეს. იგი არის კანონიერების გუშაგი, ყველაზე ძლიერი უკვდავთაგანი, ყოველივეს სულისჩამდგმელი და მეთაური. შესაბამისად, ზევსისადმი ყოველგვარი დაპირისპირება ჰესიოდესთვის უარყოფით რეაქციას იწვევს.

პრომეთეს ეპიზოდის ამსახველ სტრიქონებს ჰესიოდეს პოემებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს („თეოგონია“ – 507-616, „სამუშაონი და დღენი“ – 47-105 სტრიქონები). დღეს მეცნიერებაში არ არის დავაიმისთაობაზე, რომ პოემათატექსტის ეს ნაწილები ჰესიოდეს ეკუთვნის. კამათს იწვევს მხოლოდ ჰერაკლესთან დაკავშირებული სტრიქონები. ზოგი მეცნიერი გვიანდელ ინტერპოლაციად მიიჩნევს „თეოგონიას“ 523-533 ან 516 სტრიქონებს, მათ შორის არსებული შეუსაბამობის გამო: 523-533-ში ჰესიოდეს საუბრობს ჰერაკლესაგან პრომეთეს გათავისუფლებაზე, მაშინ, როცა, 616-ში იგი გვატყობინებს, რომ პრომეთე ჯერ კიდევ მიჯაჭვულია ბოძზე (კავკასიონს პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად პირველი ასახელებს ესქილე ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“) (Heitsch 2003, 419-435).

ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ წინააღმდეგობას ამ ორი ადგილის შორის. ჰესიოდეს არ ამბობს, რომ ჰერაკლემ ჯაჭვებისგან გაათავისუფლა პრომეთე. მან მხოლოდ არწივი მოკლა და ამ მტაცებელი ფრინველისგან მიყენებული ტანჯვა დაუსრულა ტიტანიდს.

მოკყავთ კონტრარგუმენტიც: რა აზრი ჰქონდა ჰერაკლეს მიერ არწივის მოკვლას, თუ პრომეთე გაუთავისუფლებელი დარჩებოდა? ფიქრობთ, ეს არ არის ძლიერი არგუმენტი. ზევსმა ნება დართო ჰერაკლეს, მოეკლა ბოროტი მტაცებელი ფრინველი, რადგან უზენაესს სურდა, განედიდებინა თავისი ვაჟი. ვერაფერი საგმირო საქმე იქნებოდა ვინმეს ჯაჭვებისგან ახსნა

5. ჩიხლაძე

ზევსის ნებერთვით. ტექსტში არც ისაა ნათქვამი, რომ უზენაესმა პრომეთეს აპატია. იგი ჯერ კიდევ უნდა დაისაჯოს, თუმცა მოგვიანებით ვერსიებში ჰერაკლე მთლიანად ათავისუფლებს ტიტანს (Kirk 1976, 332).

პრომეთეს მითი ჰესიოდესთან კომპლექსურია. იგი მოიცავს, უფრო სწორად, დაირთავს პანდორას მითს (შდრ.: Prado 2001, 4-11). მას აქვე მოსდევს მითების მეორე მნიშვნელოვანი ერთობლიობა. ეს არის ამბავი ადამიანთა მოდგმის შესახებ, რომლის კავშირი პრომეთეს მითთან ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ ნათელი გახდება, თუ მივმართავთ აღმოსავლურ წყაროებს (დაწვრ. იხ.: Raizis 1981).

ჰესიოდეს ინფორმაცია, როგორც ჩანს, „თეოგონიაში“ მოიცავდა ყველაფერს, მაგრამ პოეტი ქრონოლოგიურად, თანმიმდევრობით არ გადმოსცემს მითოლოგიურ ინფორმაციას პრომეთეს შესახებ. იგი ჯერ მოვლენათა განვითარების შედეგზე გვიყვება, მოგვიანებით კი გვატყობინებს ამ შედეგის მიზეზის შესახებ. ინფორმაცია პრომეთეზე გადანაწილებულია ორ პოემაზე ისე, რომ ერთი მეორის უბრალო გაგრძელებას არ წარმოადგენს – ამბები ერთმანეთს ერწყმის და ავსებს (Sechon 1999, 2017).

ინფორმაცია პრომეთეზე ორგანიზებულია ავტორის გარკვეული მსოფლმხედველობრივი პრინციპების შესაბამისად (შდრ.: Raizis 1981, 17-23). ჰესიოდეს ამოსავალი დებულებაა: ზევსი უზენასი ღმერთია, სიმართლის მცველი და ამის გამო მასთან დაპირისპირება ცოდვაა, რომელიც სამართლიან სასჯელს იმსახურებს. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ველოდოთ, რომ პრომეთეს მითი ამ ავტორთან წარმოჩენილი იქნება, როგორც მისი კონცეფციის საილუსტრაციო მაგალითი. როგორ ახერხებს ამას ჰესიოდე? იდეის რეალიზაციისთვის შეიძლება ყოფილიყო ორი გზა: 1. თავად მითის გადაკეთება; 2. მითის ობიექტურად დატოვება, ხოლო საკვანძო პასაჟების თავისებური ინტერპრეტაცია.

ვფიქრობთ, ამგვარი ანალიზის ჩატარებაა საჭირო, რომ გავარკვიოთ, რომელ გზას ირჩევს ჰესიოდე: მთელ ინფორმაციას, რომელიც პრომეთესთან დაკავშირებით არის ბერძენ ეპიკოსთან მოთხრობილი, განვალაგებთ იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს მითის სიუჟეტის განვითარებისთვის უნდა აყოფილიყო ბუნებრივი. ინფორმაციის ყოველ ელემენტს წარმოვადგენთ გარკვეული წინადადების სახით, რომლებიც, არსებითად, ჰესიოდეს პასაჟთა პერიფრაზი იქნება. ობიექტურ-მითოლოგიური ინფორმაციის შემცველ წინადადებებს არაბული ნუმერაციით შემოვიტანთ. თითოეულ წინადადებას ბოლოში ფრჩხილებში მიეწერება - დესკრიფციულია (დ) ეს ინფორმაცია, თუ მიმეტიკური (მ). დესკრიფციულს პირობითად ვუწოდებთ ისეთ ინფორმაციას, რომელიც ავტორის სიტყვებით აღწერს იმას, რაც მოხდა,

ხოლო მიმეტიკურს – რომელიც მოქმედების გაცოცხლების ცდას შეიცავს დიალოგების ან სხვა ელემენტების საშუალებით.

წინადადებას მაინპრეტირებელი ინფორმაციით ჩავსვამთ ჩარჩოში და წარმოვადგენთ რომაული ნუმერაციით. მაინპრეტირებელში ვგულისხმობთ წინადადებებს, რომლებშიც ჩანს ავტორისეული პოზიცია ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით.

ჰესიოდეს ინფორმაცია პრომეთეზე:

1. ოკეანიდმა კლიმენემ იაპეტოსისგან შვა ოთხი შვილი: ატლასი, მენოიტიოსი, პრომეთე, ეპიმეთე (დ)
2. მეკონეში ზევსი შეხვდა პრომეთეს (დ)
3. პრომეთემ განიზრახა, საზრიანობაში გაჯიბრებოდა ზევსს (დ)
4. პრომეთემ ეშმაკურად გადანაწილებული ძვლები და ხორცი შესთავაზა ორ პორციად ზევსს ასარჩევად (დ)
5. ზევსმა უთხრა, რომ ულუფები არათანაბრად იყო გადანაწილებული (დ)
6. ზევსის პასუხად გაიცინა პრომეთემ (დ)
7. ზევსმა ხელი იმ ულუფისაკენ წაიღო, რომელშიც მხოლოდ ძვლები იყო (დ)
8. ზევსმა პრომეთეს უთხრა: შენ, რომელმაც კარგად იცი წინასწარმეტყველება, არ დაგავიწყდა ეშმაკობა? (მ)
9. გაბრაზდა ზევსი ტიტანზე (დ)
10. ზევსმა ადამიანებს ცეცხლი დაუმალა (დ)
11. პრომეთემ კვლავ მოატყუა ზევსი და ცეცხლი ლერწამში დამალა (დ)
12. პრომეთეს ამ საქციელმა შეურაცხყო ზევსი (დ)
13. ზევსი ეუბნებოდა პრომეთეს: კვლავ მომატყუე, მაგრამ მე ისეთ უბედურებას გავუგზავნი შენს საყვარელ ადამიანებს, რომ ისინი მას სიხარულით და სიყვარულით მიიღებენ (მ)
14. ზევსმა შექმნა პანდორა, რომელმაც ბევრი ბოროტება მოუტანა ხალხს (დ)
15. ზევსმა მიაჯაჭვა პრომეთე ბოდის შუაში (დ)
16. ზევსმა მიუჩინა პრომეთეს არწივი (დ)
17. ჰერაკლემ მოკლა ზევსის თანხმობით არწივი და გაათავისუფლა პრომეთე(დ)
19. მართალია, პრომეთეს დახმარებით ადამიანებმა ბევრი რამ აითვისეს, მაგრამ მისივე წყალობით, თავი კიდევ უფრო გაიუბედურეს, რადგან მათ შორის ძალადობამ, უსამართლობამ და ბოროტებამ დაისადგურა (დ).

ავტორი ცდილობს, ობიექტურად გადმოსცეს ყველასთვის ცნობილი ამბავი, მაგრამ როგორც კი მიეცემა საკუთარი განწყობის გამჟღავნების საშუალება, მაინც ახერხებს ამას. სტრიქონთა შორის იგრძნობა, რომ ჰესიოდეს სიმპათიები ზევსის მხარეზეა, მიუხედავად იმისა, რომ პრომეთეს არათუ არ ამცირებს, შემამკობელ ეპითეტებსაც არ იშურებს მის მიმართ

ნ. ჩიხლაძე

(ჭკუამრავალი, კეთილშობილი). თავად ზევსსაც კი ათქმევინებს ტიტანის ქებას (თეოგ. 43). ჰესიოდე აღიარებს პრომეთეს ღირსებებს, მაგრამ არ თანაუგრძნობს ზევსისადმი დაუმორჩილებლობას და უპატივცემულობას. ამას ნათელყოფს პრომეთეს საქციელის შფასება (სამ. და დღ. 127).

მითის თხრობის პრინციპი ასეთია: დესკრიპციული და მაინტერპრეტირებელი ფრაზები ერთმანეთშია ჩაწნული და შეინიშნება ამ ორი დონის სინთეზი. 3-4 ობიექტურ ფრაზას მოსდევს 1-2 მაინპრეტირებელი წინადადება.

აშკარად იკვეთება ოპოზიცია ზევსსა და პრომეთეს შორის. საინტერესოა, ჰყავთ თუ არა მათ მხარდამჭერები? აშკარაა, რომ ადამიანების ნაწილის კეთილგანწყობილება მაინც აქვს პრომეთეს, ალბათ, იმიტომ, რომ მათი ქომაგობა იკისრა. მეკონეშიც და ცეცხლის ეპიზოდშიც ადამიანები და პრომეთე ერთ მხარეზე არიან, ზევსი კი - მეორეზე. ამასთან, არ ჩანს, რომ ადამიანები სიხარულით შეხვდნენ პრომეთეს დასჯას, ან უარი თქვეს მის დახმარებაზე.

მითოლოგიურ ინფორმაციას პრომეთეზე ჰესიოდესთან მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს. პრომეთესთან დაკავშირებული პასაჟები ერთგვარი გამონაკლისია ჰესიოდეს პოემებში, რომელნიც, მეტწილად, სქემატურ-დესკრიფციულ პოეტურ ინფორმაციას გვთავაზობენ. აქ იგრძნობა პოეტის ცდა დრამატული ელემენტების შემცველი სცენების ფორმირებისა. ამის გამო, ტიტანის სახე ჰესიოდესთან სცილდება ე.წ. კატალოგიური ფიგურის სახეს და დრამატული პერსონაჟის გარკვეულ ელფერს იძენს. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს - რა შინაარსს ატარებენ ის მახასიათებლები, რომლებითაც ეს სახეა წარმოდგენილი. აქვგულისხმობთ ეპითეტებს, ეპიკური დახასიათების ერთ-ერთ ტრადიციულ ელემენტს.

ჩვენი პრინციპი ამგვარი იქნება - განვიხილავთ პრომეთეს ელემენტებს ორი თვალსაზრისით: 1. რამდენად ტრადიციულია ეს ეპითეტი ძველი ეპოსისთვის; 2. როგორია ეპითეტი შინაარსით - ნეგატიური, პოზიტიური თუ ნეიტრალური.

პოეტი პრომეთესთან დაკავშირებით იყენებს სულ 8 ეპითეტს. ესენია: ჭკვიანი (თეოგ. 511), ჭკუამახვილი (თეოგ. 511), მამაცი (თეოგ. 526), შესანიშნავი (თეოგ. 523), ეშმაკი (თეოგ. 546; სამ. და დღ. 48), აზრის მჭვრეტელი (თეოგ. 599; სამ. და დღ. 54), კეთილშობილი (თეოგ. 565; სამ. და დღ. 50).

ამ ეპითეტთაგან I, IV, V, VII გვხვდება ჰომეროსის პოემებში, რა თქმა უნდა, სხვა პერსონაჟების მიმართ და ამდენად, ტრადიციული ეპითეტებია. სამი მათგანი (2,3,7) - ჰესიოდეს შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს.

ე.წ. პრომეთული ეპითეტებიდან მხოლოდ ერთი ახასიათებს გმირს

უარყოფითად, ყველა დანარჩენი ხაზს უსვამს ტიტანის გონიერებას, ძლიერებას, კეთილშობილებას.

თუ ისევ ამოვალთ ჰესიოდეს მთავარი დებულებიდან, რომ ზევსი მბრძანებელია, მისადმი უპატივცემულობა - დაუშვებელი, პრომეთე კი - ის პირი, ვინც შეურაცხყო ზევსი და უბედურება მოუტანა ადამიანებს, ცოტა მოულოდნელიც კი უნდა იყოს ამდენი დადებითი ეპითეტის გამოყენება პერსონაჟის მიმართ, რომელსაც საკმაოდ დიდ ბრალდებას უყენებ - ჰესიოდე დადებით ეპითეტებს იყენებს მაშინაც კი, როცა პრომეთეს ეშმაკობაზე და ზევსის მოტყუებაზეა ლაპარაკი (Wehrly 2009, 135).

ჩვენი აზრით, ჰესიოდემ გვერდი ვერ აუარა იმ ფაქტს, რომ პრომეთე უკვე ჰესიოდეს დროს იყო პოპულარული და ადამიანების ქომაგი. გარდა ამისა, ტიტანი, რომელმაც შეძლო თავად ზევსის რამდენჯერმე მოტყუება, უნდა დაეხატა პოეტს, როგორც საკადრისი მეტოქე უზენაესი ღვთაების, ჰკუთნა და გონიერებით გამორჩეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად ჰესიოდე დააეჭვებდა მკითხველს თუ მსმენელს ზევსის ყოვლისშემძლეობასა და უზენაესობაში, მარცხით დამთავრდებოდა ეპიკოსის ყველა ცდა, გაემართლებინა ზევსი და დაედანაშაულებინა პრომეთე (გორდეზიანი 2019, 136-143).

ჰესიოდე, როგორც ვნახეთ, ცდილობს ტრადიციული მითის ინტერპრეტაციასა და გააზრებაში გამოიჩინოს თავისუფლება, გამოხატოს თავისი პოზიცია. ჩნდება კითხვა - მოდის თუ არა ეპიკოსი წინააღმდეგობაში ამ ტრადიციული, მის მიერვე გამოყენებული მითის ლოგიკასთან?

ამ თალსაზრისით, აშკარა წინააღმდეგობები მეცნიერებაში შენიშნულია არაერთგზის. პრომეთეს მითთან დაკავშირებული ლოგიკური წინააღმდეგობებია:

1. გაუგებარია, ზუსტად რა მოხდა მეკონეში. ზევსმა შეგნებულად რატომ მოიტყუა თავი და აიღო ცუდი ულუფა? ადამიანებიც ამიერიდან ღმერთებს მხოლოდ საჭმელად უვარგის ნაწილებს სწირავენ;
2. თუ პანდორა არის პირველი ქალი, რომელიც ზევსმა გამოიგონა ცეცხლის მოტაცებისთვის დასჯის გამო, ამოდის, ადამიანებს არ ჰყოლიათ ქალი ოქროს ხანაში;
3. რატომ დაუჭირა მხარი პრომეთემ ადამიანებს და განუდგა ზევსს?
4. როგორ მოხდა, რომ ადამიანებს შორის არის ავადმყოფობებიც, რომლებმაც მოასწრეს სკივრიდან ამოსვლა და იმედიც, რომელიც მასში დარჩა? ან, საერთოდ, რა უნდოდა იმედს ავადმყოფობების სკივრში?
5. რატომ არის პრომეთე ზევსზე მეტად შორსმჭვრეტელი? ის ხომ არ არის უმაღლესი ღვთაება?

5. ჩიხლაძე

როგორც ჩანს, ეს წინააღმდეგობები გამოწვეულია იმით, რომ ჰესიოდემდე პრომეთეს მითს არ ჰქონდა ის ლოგიკა, რაც პოეტს სურს მას თავს მოახვიოს. იქ არ იყო ასე მკაცრად გამიჯნული უარყოფითი და დადებითი, როგორც მითოლოგიურ სახეებთან მუდმივად დაკავშირებული მახასიათებლები. მითის სტრუქტურისთვის დამახასიათებელი პოზიტიურ და ნეგატიურ ფუნქციათა ცვლა ჰესიოდესთან, არსებითად, უარყოფილია.

შესაბამისად, ლოგიკურ წინააღმდეგობებს იწვევს ის, რომ ჰესიოდემ მითი დატოვა ძველი სახით, მაგრამ შეცვალა ფუნქციათა დამოკიდებულების სტრუქტურა. ამისათვის მან ტრადიციულ ამბავში შეიტანა ზოგი ისეთი კორექტივი, რომელიც ქმნის ამ ლოგიკურ ჩიხს.

ყოველივე ეს კი, შედეგია იმისა, რომ ჰესიოდემ სრულიად შეგნებულად ცდილობს, რომ გამოკვეთოს თავისი თვალსაზრისი პრომეთეს შეფასებაში, აზრი, რომელიც ზევსს ამართლებს ამ კონფლიქტის ყველა ეტაპზე. გამართლებულია ზევსის ყველა მოქმედება, მათ შორის, უმკაცრესი სასჯელიც.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ მითი პრომეთეზე იძლევა ტიტანის მოქმედების შეფასების ორგვარ საშუალებას - მისი დახმარება ადამიანებისთვის ან კარგია, ან ცუდი, ზევსთან წინააღმდეგობის გამო, ჰესიოდემ კი სრულიად გარკვევით ირჩევს პრომეთეს სახის წარმოდგენისას მისი მოქმედების ნეგატიურად შეფასების გზას. სწორედ ეს არის პრომეთეს მითოლოგიური სახის გააზრების და ინტერპრეტაციის ის გზა, რომელიც ბერძენმა ეპიკოსმა შესთავაზა მსოფლიო მწერლობას და რომელსაც, მოგვიანებით, ძვ.წ. V საუკუნეში, სხვათაშორის, იმავე სიუჟეტის ფარგლებში, ისე, რომ არაფერს შეცვლის სიუჟეტის მხრივ, თავდაყირა დააყენებს ესქილე ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“.

ლიტერატურა

- გორდეზიანი, რ. 2019. *ბერძნული ლიტერატურა*, „ლოგოსი“, თბილისი.
- ჰესიოდე. 2013. *სამუშაონი და დღენი*, თარგმნა გიორგი კახიშვილმა, „ლოგოსი“, თბილისი.
- Fritz, K. 2019. *Pandora, Prometheus and Mythos in World Literature*, London-Berlin.
- Heitsch, E. 2003. *Prometheus and Hesiod*, Oxford.
- Hesiod. 1989. *Works and Days*, ed. with Prolegomena and Commentary by M. L. West, Oxford at the Clarendon Press.

- Hesiod. 1979. *Theogony*, ed. with Prolegomena and Commentary by M. L. West, Oxford at the Clarendon Press.
- Kirka, G.S. 1976. *Myth, its Meaning and Functions in Ancient and other Cultures*, Cambridge University Press.
- Prado, W.D. 2001. „The Philosophy of Prometheus“, *Journal of the Warburg Institutes*, Warburg.
- Raizis, M.B. 1981. *From Caucasus to Pittsburgh*, „Gnosis“.
- Sechon, L. 1999. *Myth of Prometheus*, Cambridge University Press.
- Wehrly, F. 1989. *Hesiod's Prometheus*, Darmstadt.

Classics

Myth and Interpretation: Hesiod

Nino Chikhladze

nino.chikhladze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.07>

The information about Prometheus is organized in accordance with certain worldview principles of Hesiod. Hesiod's starting point is: Zeus is the supreme god, the guardian of truth, and because of this, opposing him is a sin that deserves just punishment. In such a situation, it is natural to expect that the myth of Prometheus will be presented by this author as an illustrative example of his concept. How does Hesiod manage to do this? There could have been two ways to realize the idea: 1. Reworking the myth itself; 2. Leaving the myth objectively, and interpreting key passages in a unique way.

Keywords: myth, interpretation, Epic, Hesiod, Prometheus.

The identification of mythical patterns, the discovery of divine presence, of underlying ritual structures in specific literary works and their comparison with universal archetypes is one of the main interests of modern literary criticism. The reasons and problems that accompany such critical processes, we believe, will best be revealed through a number of cases in which myth is used as a means of interpretation and expression. I will begin with the simplest type - when there is a correlation between an aspect of the plot or character of the work and its mythical prototype. I will try to clarify this on the example of the interpretation

5. ჩიხლაძე

of the myth of Prometheus in the works of the Greek epic poet of the 8th-7th centuries BC, Hesiod.

The myth of Prometheus is very old, and the figure of the Titan in this myth is quite complex and multifaceted. His first mention in literary writing is found in Hesiod's poems "Theogony" and "Works and Days". The myth of Prometheus quite easily falls into the poet's sphere of interest, primarily because the poet, who created the genealogy of the gods and brought them into a single system, could not ignore such an ancient deity as Prometheus. In addition, the myth of Prometheus gave the poet a good opportunity for interpretation, expression of his own worldview and philosophical deepening, and the myth of Prometheus, who disobeyed Zeus and was severely punished for this disobedience, would have served Hesiod well. The myth would have been a good confirmation of Zeus' power and supremacy.

Hesiod's attitude towards the character of Prometheus is largely determined by the author's own attitude towards Zeus. Therefore, it is necessary to clarify at the very beginning the place of Zeus in Hesiod's concept. The god of thunder is for Hesiod a powerful, co-ruling deity who rules the world and protects truth. He is the guardian of law, the most powerful immortal, the inspirer and commander of all things. Accordingly, any confrontation with Zeus causes a negative reaction for Hesiod.

Hesiod's attitude towards the character of Prometheus is largely determined by the author's attitude towards Zeus himself. Therefore, it is necessary to clarify the place of Zeus in Hesiod's concept at the very beginning. He is the guardian of law, the most powerful immortal, the inspirer and commander of all things. Accordingly, any confrontation with Zeus causes a negative reaction for Hesiod.

The lines depicting the so-called Prometheus episode occupy a rather important place in Hesiod's poems ("Theogony" - 507-616, "Works and Days" - 47-105). Today, there is no dispute in science that these parts of the text of the poems belong to Hesiod. Only the lines related to Hercules cause controversy. Some consider it a late interpolation because of the discrepancy between lines 523-533 or 516 of the Theogony: in 523-533 Hesiod speaks of the liberation of Prometheus from Heracles, while in 616 he informs us that Prometheus is still chained to the pole. Raizis sees no contradiction between these two passages. Hesiod does not say that Heracles freed the Titan from his chains. He merely killed the eagle and ended the torment inflicted on the tortured by this bird of prey. The counterargument is given: what was the point of Heracles killing the eagle if Prometheus remained unfreed? This is not a strong argument. Zeus allowed Heracles to kill the evil predator because Zeus wanted to glorify his son.

It would be unwise to explain away anyone's sins with Zeus's own words. Nor is the text saying that the Supreme forgave Prometheus. He still has to be punished, although in later versions Heracles completely slays the Titan.

The myth of Prometheus is complex according to Hesiod. It includes, or rather, surrounds the myth of Pandora. It is followed by a second important set of myths. This is the story of a human race, the connection of which with the myth of Prometheus is not immediately apparent, but becomes clear if we turn to Eastern sources.

Hesiod's information, it seems, included everything in the "Theogony", but the poet does not convey the mythological information about Prometheus chronologically. He first tells us about the outcome of the development of events, and later informs us about the cause of this outcome. Information about Prometheus is distributed over two poems so that one is not a simple continuation of the other. The stories merge and complement each other.

Information about Prometheus is organized in accordance with certain worldview principles of the author. Hesiod's starting point is the proposition: Zeus is the supreme god, the guardian of truth, and because of this, opposing him is a sin that deserves just punishment. In such a situation, it is natural to expect that the myth of Prometheus will be presented by this author as an illustrative example of his concept. How does Hesiod manage to do this? There could have been two ways to realize the idea: 1. Reworking the myth itself; 2. Leaving the myth objectively, and interpreting the key passages in a unique way.

In our opinion, Hesiod could not ignore the fact that Prometheus was already popular and a supporter of people in Hesiod's time. In addition, the titan, who managed to deceive Zeus himself several times, had to be portrayed by the poet as a worthy enemy of the Supreme, otherwise, Hesiod himself would have made the reader or listener doubt the omnipotence and supremacy of Zeus, and all the epic poet's attempts to justify Zeus and blame Prometheus would have ended in failure.

Therefore, logical contradictions arise from the fact that Hesiod left the myth in its old form, but changed the structure of the relationship of functions. To do this, he introduced into the traditional story some such corrections that create this logical deadlock. All this is due to the fact that Hesiod is quite consciously trying to express his point of view in the assessment of Prometheus, an opinion that justifies Zeus at all stages of this conflict. All actions of Zeus are justified, including the most severe punishment.

Finally, the myth of Prometheus, perhaps, provides two ways of evaluating the actions of the titan - his help to people is either good or bad, due to his opposition to Zeus.

5. ჩიხლაძე

Hesiod quite clearly chooses the path of negatively evaluating his actions in presenting the image of Prometheus. From the opposition of the negative and positive potentially existing in the mythological image of Prometheus, Hesiod unilaterally chooses only the negative. This is precisely the way of understanding and interpreting the mythological image of Prometheus that the Greek epic offered to world literature.